არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ)
„ჩერნოვეცკის ფონდი"
ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების ანგარიშგება	5
შენიშვნები ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების ანგარიშგებასთან დაკავშირებით	6

შპს KPMG Georgia
ბესიკის ქ. 4, მე-2 სართ.
თბილისი, 0108
საქართველო

ტელეფონი +995 (32) 2935695
ფაქსი +995 (32) 2935713
ვებ-გვერდი www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩერნოვეცკის ფონდი"-ს

დამფუძნებელს

ჩვენ ჩავატარეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩერნოვეცკის ფონდი"-ს (შემდგომში „ორგანიზაცია") თანდართული ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების შესახებ ანგარიშგების (შემდგომში „ანგარიშგება") აუდიტი 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და ასევე იმ შენიშვნების აუდიტი, რომლებიც მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვან პოლიტიკებს და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას (ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების შესახებ ანგარიშგების ჩათვლით). ანგარიშგება ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების შესახებ მომზადდა მენეჯმენტის მიერ, ფულადი შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვის წესის გამოყენებით, რომელიც განხილულია წინამდებარე ანგარიშგების შენიშვნაში 3.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ანგარიშგების მომზადებაზე ფულადი შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვის წესის შესაბამისად, რომელიც განხილულია ანგარიშგების შენიშვნაში 3. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ზემოთაღნიშნული აღრიცხვის წესის სისწორეზე და ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ანგარიშგების მომზადებას უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე ანგარიშგების შესახებ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, რომელიც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარვმართეთ. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა შეიცავს თუ არა აღნიშნული ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს პროცედურების ჩატარებას ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შესაფერისია თუ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რომლის საფუძველზეც აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ

შპს KPMG Georgia, ამონაბეჭდი რეგისტრაციისა საქართველოს კანონმდებლობით შპს-ად KPMG-ის ჰოლდინგ, ნამდვილი წევრი ყოფილი ვარსკვლავი, ინდოეთი ინდოეთთან დაკავშირებულ პირთა KPMG International Cooperative ("KPMG International").

პროცედურებს, თუმცა აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოთქმა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო დაშვებების სისწორის შეფასებას და ასევე მთლიანად წარდგენილი ანგარიშგების შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ორგანიზაციის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ფულადი შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვის წესის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შენიშვნა 3-ში.

ანგარიშგების საფუძველი და გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვა

ჩვენი მოსაზრების შეუცვლელად ვითვალისწინებთ ანგარიშგების შენიშვნა 3-ს, რომელიც აღწერს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდს. აღნიშნული ანგარიშგების მომზადება მიზანმიმართულია ორგანიზაციის ფულადი შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ორგანიზაციის მიმდინარე და პოტენციური დონორებისთვის. აქედან გამომდინარე, ანგარიშგება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სხვა მიზანს. ჩვენი დასკვნა განკუთვნილია მხოლოდ ორგანიზაციისთვის და მისი მიმდინარე და პოტენციური დონორებისთვის.

KPMG Georgia LLC

შპს „KPMG Georgia“
1 თებერვალი 2017

ლარი	შენიშვნა	2015 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		**13,676**
ფულადი შემოსავლები		
შემოწირულობები იურიდიული პირების მიერ	4	1,810,626
შემოწირულობები ლეონიდ ჩერნოვეცკის მიერ		60,000
შემოწირულობები საქველმოქმედო ყუთებით		33,843
ფულის დაბრუნება		11,761
შემოწირულობები ფიზიკური პირების მიერ		11,401
სხვა		1,429
სულ ფულადი შემოსავლები		**1,929,060**
ფულადი გასავლები		
შინმოვლის პროგრამა	5	860,085
მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროგრამა	6	291,755
ბავშვთა პანსიონის პროგრამა	7	272,198
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება		57,600
ერთჯერადი ქველმოქმედება		133,100
ადმინისტრაციული ხარჯები	8	314,158
სულ ფულადი გასავლები		**1,928,896**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**13,840**

5-11 გვერდებზე წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2017 წლის 1 თებერვალს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ანდრეი კურსკი
დირექტორი

ქეთევან დიდბერიძე
მთავარი ბუღალტერი

1 ზოგადი ინფორმაცია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ) „ჩერნოვეცკის ფონდი“ (შემდგომში „ფონდი“ ან „ორგანიზაცია“) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანთა ჯგუფებს, მათ შორის უსახლკაროებს, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ობოლ ბავშვებს და სხვ.

ორგანიზაცია დაფუძნდა 2012 წლის 10 აპრილს საქართველოს მოქალაქის, გიორგი ქვრივიშვილის მიერ, მრავალშვილიანი ოჯახების, უსახლკარო ბავშვებისა და საწოლზე მიჯაჭვული მოხუცების დახმარების მიზნით. ორგანიზაციის სახელი მისი დაფუძნებისას იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სოციალური პარტნიორობა“. 2016 წლის 17 დეკემბერს მოხდა ორგანიზაციის სახელის ცვლილება და მას დღევანდელი მდგომარეობით ეწოდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ) „ჩერნოვეცკის ფონდი“. 2016 წლის მარტში ორგანიზაციის დამფუძნებელი გახდა უკრაინის მოქალაქე ანდრეი კურსკი.

ფონდის იურიდიული მისამართია ვაზისუბნის ქ. №36, თბილისი, საქართველო.

ორგანიზაცია ფინანსურ დახმარებას იღებს დონორი ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ნებაყოფლობითი შემოწირულობებით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციას ჰყავდა 62 თანამშრომელი, მათ შორის 8 პირი დაკავებული იყო ადმინისტრაციული საქმიანობით, ხოლო 54 ჩართული იყო სპეციალურ პროგრამებში.

2015 წლის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს/პროგრამებს:

- *შინმოვლის პროგრამა* - ბენეფიციართა ჯგუფი მოიცავს საწოლს მიჯაჭვულ, ქრონიკული დაავადების მქონე (ძირითადად მოხუცებულებს) და გამოჯანმრთელების ეტაპზე მყოფ პაციენტებს. კვალიფიციური მედდები და მათი ასისტენტები საჭირო სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებას უწევენ საწოლს/სახლს მიჯაჭვულ პაციენტებს საკუთარ ბინებში. ფონდი მათ ყოველდღიურად ეხმარება საჭირო მედიკამენტებით, კვების, ჰიგიენის საშუალებებით და პამპერსებით. პროექტში ასევე ჩართულნი არიან ექიმები, ნევროპათოლოგები, ონკოლოგები, ექთნები, ექთნის ასისტენტები, სარეაბილიტაციო თერაპევტები და სოციალური მუშაკები. საერთო ჯამში 2015 წლის განმავლობაში ფონდი დაეხმარა 500 ბენეფიციარს.

- *მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროგრამა* - 2013 წლის 28 მაისს ფონდმა გახსნა ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი თბილისში. 2015 წლის განმავლობაში მან უპატრონა ზრუნვასა და მეურვეობას მოკლებულ 20 ბავშვს თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ბავშვები 24-საათიანი ზრუნვის ქვეშ იმყოფებიან და ამავდროულად იღებენ განათლებას. ისინი სრულად უზრუნველყოფილნი არიან ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სასკოლო ნივთებით. ბავშვები ასევე დადიან ცეკვის, სიმღერის, სპორტისა და ხატვის წრეებზე.

- *ბავშვთა პანსიონის პროგრამა* - 2014 წლის 23 ნოემბერს ფონდმა გახსნა ბავშვთა პანსიონი ქობულეთში. 2015 წლის განმავლობაში ის პატრონობდა უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ 10 ბავშვს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ბავშვები 24-საათიანი ზრუნვის ქვეშ იმყოფებიან და ამავდროულად იღებენ განათლებას. მათ მშობლებს საშუალება აქვთ ნებისმიერ დროს ესტუმრონ შვილებს. პანსიონში შესაძლებელია 50 ბავშვის განთავსება. ფონდს აქვს ყველა საჭირო აღჭურვილობა და ტექნიკა ბავშვთა განათლებისა და განვითარებისთვის. ისინი სრულად უზრუნველყოფილნი არიან ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და სასკოლო ნივთებით. ბავშვები ასევე დადიან ფეხბურთისა და მუსიკის წრეებზე.

- *მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება* - ფონდი პატრონობდა უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ 13 მრავალშვილიან ოჯახს ფონდი ყოველთვიურად ურიცხავდა კონკრეტულ თანხას და პერიოდულად თვალს ადევნებდა მათ მდგომარეობას.

2 საქართველოს ეკონომიკური და ბიზნეს გარემო

ფონდი ახორციელებს საქმიანობას საქართველოში, შესაბამისად, ის დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განვითარებას განაგრძობენ, მაგრამ ისინი განიცდიან ცვალებად ინტერპრეტირებას და მუდმივ ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ ხარვეზებთან ერთად ხელს უწყობენ საქართველოში მოქმედი პირების წინაშე მდგარ გამოწვევებს. წინამდებარე ანგარიშგებაში ასახულია ფონდის საქმიანობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასება ხელმძღვანელობის მხრიდან. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

3 ფულადი სახსრების წყაროებისა და მათი გამოყენების ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება განკუთვნილია ორგანიზაციის ფულადი შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ინფორმაციის წარსადგენად ორგანიზაციის მიმდინარე და პოტენციური დონორებისთვის და მომზადებულია ფულადი შემოსავლებისა და გასავლების საბუღალტრო აღრიცხვის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების ყოვლისმომცველ საფუძველს და განსხვავდება საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული საბუღალტრო პრინციპებისგან. ამ აღრიცხვის მიხედვით, შემოსავლის აღიარება ხდება ფულის მიღებისას და არა გამომუშავებისას, ხოლო ხარჯების აღიარება ხდება ფულის გადახდის დროს და არა მათი გაწევის მომენტში. ხარჯებს, რომლებიც არ განეკუთვნება ფონდის კონკრეტულად არცერთ პროგრამას, ორგანიზაცია ადმინისტრაციულ ხარჯებსა და პროგრამის ხარჯებს შორის ანაწილებს თანამშრომელთა რაოდენობების მიხედვით. შესადარი ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

წინამდებარე ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ინფორმაცია მომდინარეობს ორგანიზაციის სააღრიცხვო ჩანაწერებიდან, რომლებიც საქართველოს შემოსავლების სამსახურთან ანგარიშგების მიზნით არის წარმოებული.

ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

4 შემოწირულობები იურიდიული პირების მიერ

შემოწირულობები იურიდიული პირების მიერ:

ლარი	2015
Lugamino Holdings Limited	1,700,376
სოციალური მომსახურების სააგენტო	60,250
თბილისის მერია	50,000
სულ	**1,810,626**

5 შინმოვლის პროგრამა

შინმოვლის პროგრამისთვის გაწეული ხარჯები მოიცავს:

ლარი	2015
ხელფასი	418,644
მედიკამენტები	182,485
ჰიგიენური ნივთები	103,818
კვების პროდუქტები	73,104
კომუნალური ხარჯები	16,814
ავეჯი და მოწყობილობები	16,012
დაცვის მომსახურება	11,466
ჯანმრთელობის დაზღვევა	9,590
იჯარა	8,838
საოფისე მასალა	1,834
სხვა	17,480
სულ	**860,085**

6 მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროგრამა

მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროგრამისთვის გაწეული ხარჯები მოიცავს:

ლარი	2015
ხელფასი	87,590
იჯარა	63,347
კვების პროდუქტები	40,097
ტანსაცმელი	35,640
კომუნალური ხარჯები	20,913
ავეჯი და მოწყობილობები	8,479
მედიკამენტები	7,588
განათლება/სპორტული წრეები	3,780
დაცვის მომსახურება	2,058
ჯანმრთელობის დაზღვევა	1,721
სახლის მოვლის/შეკეთების ხარჯები	1,303
სამედიცინო დახმარება	445
სხვა	18,794
სულ	**291,755**

7 ბავშვთა პანსიონის პროგრამა

ბავშვთა პანსიონის პროგრამისთვის გაწეული ხარჯები მოიცავს:

ლარი	2015
ხელფასი	109,391
იჯარა	64,407
კვების პროდუქტები	58,147
კომუნალური ხარჯები	15,221
საყოფაცხოვრებო ნივთები	4,614
ჯანმრთელობის დაზღვევა	3,689
ავეჯი და მოწყობილობები	3,532
სახლის მოვლის/შეკეთების ხარჯები	2,833
საკანცელარიო ნივთები	2,619
მივლინებები	1,534
სხვა	6,211
სულ	**272,198**

8 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2015
ხელფასი	163,596
იჯარა	48,475
მარკეტინგი	30,417
ავეჯი და მოწყობილობები	27,068
აუდიტორული მომსახურება	10,960
კომუნალური ხარჯები	4,483
დაცვის მომსახურება	2,940
სხვა	26,219
სულ	**314,158**

2015 წლის განმავლობაში ფონდმა მის მენეჯმენტს ხელფასის სახით ჯამურად 60,252 ლარი გადაუხადა.

9 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფონდი დაკავშირებულ მხარეებთან საქმიანობას ჩვეული ოპერაციების ფარგლებში ახორციელებს. მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ერთ-ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან ისარგებლოს მეორე მხარეზე მნიშვნელოვანი გავლენით ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღების დროს. დაკავშირებული მხარეები არიან ფიზიკური პირები (მათი ოჯახის წევრები)/იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ფონდის კონტროლს ან აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მასზე.

2015 წლის განმავლობაში კომპანიისგან „Lugamino Holdings Limited“ ფონდმა შემოწირულობების სახით მიიღო 1,700,376 ლარი. ხსენებული შემოწირულობები განხორციელდა უკრაინის მოქალაქის ლეონიდ ჩერნოვეცკის ოჯახის მიერ.

ლეონიდ ჩერნოვეცკის მიერ განხორციელებულმა პირდაპირმა შემოწირულობამ შეადგინა 60,000 ლარი 2015 წლის განმავლობაში.